

ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა და სატელევიზიო სერიალი „ჩემი
ცოლის დაქალები“

თეონა ლაგვილავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

მიმართულება: ჟურნალისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ჰაიჭაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

სარჩევი

აბსტრაქტი	
შესავალი	1
თავი პირველი: ძალადობის ფენომენი, მისი მიზეზები და ფაქტორები.....	3
თავი მეორე: ფემინიზმი, როგორც ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა და მისი გამოვლინება საქართველოში.....	21
თავი მესამე: ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის ასახვა ტელესერიალში „ჩცდ“	32
დასკვნა	50
ბიბლიოგრაფია	

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი „ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა სატელევიზიო სერიალში „ჩცდ“ იმ ვითარებას ასახავს, რომლის ანარეკლსაც სატელევიზიო სერიალში საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოვარკვიოთ, თუ როგორი ვითარებაა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით დღეს; რა სტერეოტიპები და დამოკიდებულება არსებობს მათ მიმართ საზოგადოებაში და ამ ყველაფერმა როგორი ასახვა პოვა აღნიშნულ სატელევიზო სერიალში. ყურადღების მიღმა არ დაგვრჩენია ბულინგის პრობლემა სკოლებში, ასევე, ე.წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებისადმი საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაც.

კვლევის მეთოდად შეირჩა თვისებრივი კონტენტანალიზი. ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები და თემები, რომლებიც აქტიურად აისახება სპეციალურ ლიტერატურაში, მედიაში და მიმართულია საზოგადოების ცნობიერებისა და ტოლერანტობის დონის ამაღლებისაკენ.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისგან შედგება. შესავალი წარმოაჩენს თემის აქტუალობასა და მის მნიშვნელობას. ძირითადი ნაწილი სამ ქვეთავად იყოფა: პირველ თავში საუბარია ძალადობის ფენომენზე, მის მიზეზებსა და ფაქტორებზე, გამოვლინების ფორმებზე; მეორე თავი ქალთა მოძრაობის განვითარების ეტაპებს მოიცავს, ხოლო მესამეში ძირითადი აქცენტი გადატანილია იმ რეალობის ანარეკლზე, რომელიც ასე ოსტატურად არის გადმოცემული ტელესერიალში „ჩცდ“.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგად მღებული მონაცემები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქალთა მიმართ ძალადობა, ფემინიზმი, ქალთა მოძრაობა, ქალთა ემანსიპაცია, გენდერული სტერეოტიპები, ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა.

Abstract

Master's Thesis on the problem of violence against women in the TV series "My Wife's Friends" is reflecting the situation in Georgia in this regard; The purpose of the present work is to find out what is the condition in women's rights today; What stereotypes and attitude are there in the society and the way it is reflected in the aforesaid TV series. There is no out of attention the problem of bullying in schools and also society's non homogeneous attitude towards the people with so called non-traditional sexual orientation.

Qualitative contents were selected as a research method. While working on the thesis were revealed the main problems and themes that are actively reflected in the special literature and media and are directed to the raise of level of public consciousness and tolerance.

As for the structure of the work, it consists of the introduction, the main part and the conclusion. Introduction demonstrates the importance of the topic and its significance. The main part is divided into three subdivisions: the first chapter describes the phenomenon of violence, its reasons and factors, the forms of expression; the second chapter includes the development of women's movement stages; and in the third, the main emphasis is made on the reflection of the reality that is so skillfully delivered in the TVshow "My Wife's Friends".

The final part of the work is summarizing the results of the survey.

Main search keywords: violence against women, feminism, women's movement, women emancipation, gender stereotypes, physical violence, psychological violence.